ხელშეკრულება № 41
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

22 თებერვალი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (რეკვიზიტები: ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი #3 ს/კ219636259, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში) (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემური ჩუბინიძის სახით და მეორე მხრივ ინდ. მეწ. „ცქიფურიშვილი დავითი" (რეკვიზიტები: ქ. ტყიბული, ნინოშვილის #31, ს/კ41001008442, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ.კ.BAGAGE22 ა.ა.GE76BG0000000851719000) (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დავით ცქიფურიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1.მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს,კერძოდ;

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ფასების ცხრილი.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გასწიოს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5. ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლიარად, რომელთაგან თითო-თითო ეგზემპლიარი გადაეცემათ ხელმომწერ მხარეებს.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია მიკროავტობუსით გადაყვანის მომსახურება (შემდგომში "სამუშაო"). CPV კლასიფიკატორის კოდი 60100000.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1210 (ერთიათასორასათი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება შემდეგი პრიციპით: 100 კმ-მდე მაძილზე თითოეულ კილომეტრზე 0,65 ლარით ხოლო 100 კმ-ზე მეტ მანძილზე 0,6 ლარით

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესი
განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით
შემსყიდველის და მიმწოდებლის წარმომადგენლების ხელმოწერით.

4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის
მუნიციპალიტეტის მერი თემური ჩუბინიძე.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2017 წლის 15
მარტის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1. მიმწოდებელმა მგზავრთა დროულად და უსაფრთხოდ გადაყვანისათვის უნდა განახორციელოს
ყველა სატრანსპორტო ოპერაცია და პროცედურა. მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანაზე პასუხისმგებლობა
მთლიანად ეკისრება მიმწოდებელს.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს
ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე
განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით
გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი
დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

7.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან
დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

7.4. ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა და
არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების
ღირებულების 10% ოდენობით.

8. მხარეთა უფლება მოვალეობები

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს
გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.1.2 მომსახურეობის მიწოდების მიმდინარეობისას დაუყონებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე
დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით
ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებაზე.

8.2.2. შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სანიტარული
ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

8.2.3 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი
ვალდებულებები;

8.3.2. მომსახურების მიწოდება განახორციელოს საქართველოში მოქმედი სანიტარული
ნორმებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

8.4 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 09 თებერვლიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

შეთანხმება
ხელშეკრულებაში უზუსტობის გასწორების თაობაზე

ქ. ტყიბული

23 თებერვალი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 101 მუხლის მესამე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტსა და ინდ. მეწ. დავით ცქიფურიშვილი"-ს შორის 2018 წლის 22 თებერვალ გაფორმდა N41 ხელშეკრულება, ღირებულებით 1210 (ერთიათასორასათი) ლარი.

აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მიკროავტობუსით გადაყვანის მომსახურების მოწოდება.

ხსენებულ ხელშეკრულებაში დაშვებულია მექანიკური უზუსტობები. აღნიშნული უზუსტობების შესწორების მიზნით ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის თემური ჩუბინიძის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ინდ. მეწ. დავით ცქიფურიშვილი" (შემდგომში "მიმწოდებელი") 2018 წლის 22 თებერვლის N41 ხელშეკრულების მე–10 მუხლის პირობებიდან გამომდინარე ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. 2018 წლის 22 თებერვლის N41 ხელშეკრულების მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 22 თებერვლიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.
2. 2018 წლის 22 თებერვლის N41 ხელშეკრულების მე-5 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2018 წლის 15 მარტის ჩათვლით.
3. ეს შეთანხმება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
4. ვალდებულებები, რომელთაც ეს შეთანხმება არ შეხებიათ, დარჩეს უცვლელად.
5. შეთანხმება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული მხარისათვის.

6. მხარეთა რეკვიზიტები.

შემსყიდველი.

ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი"
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი №3
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბ.კ. TRESGE22

მიმწოდებელი.

ინდ. მეწ. „ცქიფურიშვილი დავითი"
ქ. ტყიბული, ნინოშვილის #31,
საიდენთიფიკაციო კოდი 41001008442,
ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ.კ.BAGAGE22
ა.ა.GE76BG0000000851719000

7. მხარეთა ხელმოწერა

ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი

ინდ. მეწ. „ცქიფურიშვილი დავითი"

ინფორმაცია

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირის ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ.ტყიბული

22 თებერვალი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მითითებული პირი ხელისმოწერით ადასტურებს, რომ მიკროავტობუსით გადაყვანის მომსახურების მოწოდების მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ზედამხედველი); ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მე-2 რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი: ჯონდო ქასრაშვილი